

ნარკოტიკული დანაშაული, როგორც თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევა და
მასთან ბრძოლის მექანიზმები

სალომე სულავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ დგებუაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

აბსტრაქტი

ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედი ნივთიერებებით თრობა კაცობრიობას უხსოვარი დროიდან მოსდევს. დღევანდელ რეალობამდე, აღნიშნულმა ნივთიერებებმა განვითარების დიდი და მრავალფეროვანი გზა განვლეს: ყველაფერი დაიწყო მცენარეებიდან, დღეს კი უამრავი სახის ნაერთი, მჟავა და სინთეზური ნივთიერება არსებობს, რომლებიც ხელითაა შექმნილი ადამიანის მიერ. ნარკოდანაშაულისა და ნარკომანიის განვითარებამ კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია და დღითიდღე უფრო იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს არაერთი კვლევა, რომლებიც ცხადყოფენ ნარკოდამოკიდებულების დამანგრეველ შედეგებს, მოცემული პრობლემა მაინც მწვავეა და საჭიროებს მკაცრ კონტროლს სახლმწიფოების მხრიდან. ბოლო ათწლეულებში შეიქმნა არაერთი მარეგულირებელი აქტი და კანონპროექტი ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მიზნით. გარდა ამისა, ნარკოტიკებთან ბრძოლა ხდება ქვეყნების ლოკალური კანონმდებლობითაც: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII-ე თავი ეთმობა ნარკოდანაშაულს და გაწერილია შესაძლო დანაშაულები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობები.

Abstract

The abuse of the substances that affect central nervous system has been around since time immemorial. Until today, these substances have come a long way and developed in a variety of ways: everything started from plants, and today there are many types of compounds, acids and synthetic substances that are man-made. The development of drug crime and drug addiction has reached colossal proportions and is increasing day by day. Although there are a number of studies that show the devastating effects of drug addiction, this problem is still acute and requires strict control by states. A number of regulatory acts and bills have been enacted in recent decades to combat drug crime. In addition, the fight against drugs is carried out under the local legislation of the countries: Chapter XXXIII of the Criminal Code of Georgia is devoted to drug crimes and lists possible crimes and criminal responsibilities.